

# სააქციო საზოგადოება „თელასი“

დამტკიცებულია

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

2013 წლის 25 დეკემბერი ოქმი №111

## სს „თელასის“ ეკოლოგიური პოლიტიკა

ქ. თბილისი

2013 წ.

## სარჩევი

1. ტერმინები და განმარტებები .....	3
2. ზოგადი დებულებები .....	4
3. დანიშნულება და გამოყენების სფერო .....	5
4. ეკოლოგიური პოლიტიკა.....	5
5. დასკვნა .....	7

## 1. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი	განმარტება
საზოგადოება	სს „თელასი“
ეკოლოგია	გარემო, რომელშიც ოპერირებს საზოგადოება, მათ შორის ჰაერი, წყალი, ნიადაგი, ბუნებრივი რესურსები, ფლორა, ფაუნა, ადამიანები და სხვა ფაქტორები.
ეკოლოგიური პოლიტიკა	საზოგადოების ხელმძღვანელობის ოფიციალური განცხადება, რომელშიც ასახულია საზოგადოების ძირითადი განზრახვები და მიმართულებები მის ეკოლოგიურ ეფექტურობასთან დაკავშირებით.  ეკოლოგიური პოლიტიკა წარმოადგენს საფუძველს ეკოლოგიური მიზნებისა და ამოცანების დასახვისთვის.
ეკოლოგიური მართვის სისტემა	საზოგადოების მართვის სისტემის ნაწილი, რომელიც გამოიყენება მისი ეკოლოგიური პოლიტიკის შესამუშავებლად და დასანერგად და ეკოლოგიური ასპექტების სამართავად.
ეკოლოგიური ასპექტი	საზოგადოების საქმიანობების ან პროდუქტების ან მომსახურებების ელემენტი, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს ეკოლოგიაზე.
გავლენა ეკოლოგიაზე	ნებისმიერი ცვლილება ეკოლოგიაში, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს საზოგადოების ეკოლოგიური ასპექტების შედეგს.
ეკოლოგიური ეფექტურობა	საზოგადოების მიერ თავისი ეკოლოგიური ასპექტების მართვის გაზომვადი შედეგები.
ეკოლოგიური მიზანი	ზოგადი ეკოლოგიური მიზანი, რომელიც შესაბამისობაშია ეკოლოგიურ პოლიტიკასთან და რომლის მიღწევაც დაისახა საზოგადოებამ.
ეკოლოგიური ამოცანა	დეტალური მოთხოვნები ეკოლოგიური ეფექტურობის მიმართ მთელი საზოგადოებისთვის, ან მისი გარკვეული ნაწილ(ებ)ისთვის, რომლებიც გამომდინარეობს ეკოლოგიური მიზნებიდან და რომელთა დასახვა და შესრულება აუცილებელია აღნიშნული მიზნების მისაღწევად.

<b>დაინტერესებული მხარე</b>	პირი ან ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია საზოგადოების ეკოლოგიურ ეფექტურობაში, ან რომელზეც შეიძლება გავლენა იქონიოს საზოგადოების ეკოლოგიურმა ეფექტურობამ.
<b>დაბინძურების პრევენცია</b>	<p>პროცესების, პრაქტიკული მეთოდების, ტექნიკების, მასალების, პროდუქტების, მომსახურების ან ენერჯის გამოყენება იმისთვის, რომ საზოგადოებამ თავიდან აიცილოს, შეამციროს ან გააკონტროლოს (ცალ-ცალკე ან ერთმანეთთან კომბინაციაში) ნებისმიერი ტიპის დაბინძურების ან ნარჩენის წარმოქმნა ან გამოყოფა და ამ გზით შეამციროს უარყოფითი გავლენა ეკოლოგიაზე.</p> <p>დაბინძურების პრევენცია შეიძლება მოიცავდეს დაბინძურების წყაროს შემცირებას ან აღმოფხვრას, პროცესის, პროდუქტის ან მომსახურების სახეცვლილებას, რესურსების ეფექტურ გამოყენებას, გამოყენებული მასალებისა და ენერჯის ალტერნატივის მოძიებას, განმეორებით გამოყენებას, რეგენერაციას, უტილიზაციას, აღდგენას და გაწმენდას.</p>
<b>მუდმივი გაუმჯობესება</b>	ეკოლოგიური მართვის სისტემის განმეორებადი დახვეწის პროცესი იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს საზოგადოების მთლიანი ეკოლოგიური ეფექტურობა, ეკოლოგიურ პოლიტიკასთან შესაბამისობაში.

## 2. ზოგადი დებულებები

2.1. სს „თელასი“-ს (შემდგომში - „საზოგადოება“) მოცემული ეკოლოგიური პოლიტიკა (შემდგომში - „პოლიტიკა“) შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, ეკოლოგიური მართვის საერთაშორისო სტანდარტის ISO 14001:2004, საზოგადოების კორპორატიული მართვის პოლიტიკის და სხვა ადგილობრივი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2.2. აღნიშნული პოლიტიკა გრძელვადიანი ხასიათისაა და არ იზღუდება გარკვეული დროითი ჩარჩოებით. თუმცა საზოგადოების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, პერიოდულად გადახედოს მას და, საჭიროების შემთხვევაში, განაახლოს.

2.3. საზოგადოების ყველა თანამშრომელი და კონტრაქტორი, რომელიც საზოგადოებისთვის გარკვეულ სამუშაოს ასრულებს, უნდა იცნობდეს პოლიტიკას და ითვალისწინებდეს მას თავის ყოველდღიურ საქმიანობაში.

2.4. საზოგადოება უზრუნველყოფს პოლიტიკის ყველა დაინტერესებული მხარისთვის კომუნიკაციას და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

### 3. დანიშნულება და გამოყენების სფერო

3.1. მოცემული პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების ადგილობრივ ნორმატიულ აქტს, ადგენს საზოგადოების განზრახვებს, პასუხისმგებლობებსა და პრინციპებს მისი ეკოლოგიური ეფექტურობის, ეკოლოგიური ასპექტებისა და გავლენების და თავისი საქმიანობის უარყოფითი ზემოქმედებისგან გარემოს დაცვის მიმართულებით.

3.2. პოლიტიკიდან გამომდინარე, საზოგადოებაში განისაზღვრება კონკრეტული ეკოლოგიური მიზნები და ეკოლოგიური ამოცანები, იგეგმება და ინერგება გარემოს დაცვის კონკრეტული ღონისძიებები, ხდება ეკოლოგიური ასპექტებისა და გავლენების მართვის სისტემის ფორმირება და განვითარება და ეკოლოგიური ეფექტურობის შეფასება.

3.3. პოლიტიკა ვრცელდება საზოგადოების ყველა სტრუქტურულ ერთეულზე და რელევანტურია საზოგადოების საქმიანობის ყველა მიმართულებისათვის.

### 4. ეკოლოგიური პოლიტიკა

სხვადასხვა ბიზნესის გავლენა ეკოლოგიაზე უმნიშვნელოვანესი საკითხია დღევანდელ სამყაროში, რომელშიც სულ უფრო და უფრო ხშირია გარემოს დაბინძურების ფაქტები, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსების სიმწირე და ბიომრავალფეროვნების შემცირება. აქედან გამომდინარე, სს „თელასი“:

1. ღრმად არის დარწმუნებული, რომ ეკოლოგიაზე გავლენების კონტროლი და მართვა მისი ეფექტური საქმიანობის აუცილებელი კომპონენტია და კრიტიკული მნიშვნელობისაა ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნებისა და მოლოდინების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის;
2. ერთგულად ემსახურება თავის ყოველდღიურ პროცესებში პასუხისმგებლიანი და პროაქტიული ეკოლოგიური პრაქტიკების ინტეგრირების კონცეფციას;
3. სრულად აცნობიერებს პასუხისმგებლობას, რომელიც აკისრია სწორი ეკოლოგიური პრაქტიკის მიღწევასა და შენარჩუნებაზე და დაგეგმარებისა და ოპერაციების შესაბამისად წარმართვაზე;
4. აღიარებს, რომ გარემოს დაცვა და ეკოლოგიაზე ზრუნვა მისი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია;
5. თავის მოვალეობად მიიჩნევს აქტივობების, მათ შორის, ელექტროენერჯის შესყიდვისა და რეალიზაციის, ელექტროქსელის მომსახურებისა და ექსპლუატაციის, ელექტროენერჯის სატრანზიტო მომსახურების, აბონენტთა ტექნიკური მომსახურების და ყველა სხვა ძირითადი, თუ მხარდამჭერი პროცესის ისე წარმართვას, რომ არ შეუქმნას საფრთხე გარემოს და არ იყოს დაუშვებელი რისკის წყარო ეკოლოგიისთვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სს „თელასი“ ორიენტირებულია შემდეგზე:

- მუდმივად აკმაყოფილებდეს ყველა შესაბამის, ეკოლოგიის დაცვასთან დაკავშირებულ ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ კანონმდებლობას, რეგულაციასა და წესს.
- შეესაბამებოდეს ყველა შიდა ნორმატიულ აქტს, სტანდარტს, რეგულაციას და წესს, რომელიც ჩამოყალიბებული და დანერგულია საზოგადოების ეკოლოგიური ეფექტურობის ხელშეწყობისათვის.
- თავის ოპერაციებში მაქსიმალურად გაითვალისწინოს ეკოლოგიური ეფექტურობის თვალსაზრისით, ყველა დანტერესებული მხარის მოთხოვნები და მოლოდინები.
- უზრუნველყოს პოზიტიური რეაგირება გარეშე საზოგადოების მხრიდან გამოხატულ ინტერესზე ან კითხვებზე; სიღრმისეულად გამოიკვლიოს ნებისმიერი საჩივარი და მიიღოს ადეკვატური ზომები.
- მოახდინოს ეკოლოგიური ასპექტებისა და გავლენების ინტეგრირება სს „თელასის“ სტრატეგიულ დაგეგმარებაში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და ყველა ოპერაციაში.
- აწარმოოს საზოგადოების ეკოლოგიური მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი და ჩანაწერი.
- პერიოდულად შეაფასოს თავისი პროცესების გავლენა ეკოლოგიაზე და არსებული კონტროლის ზომები და, საჭიროების შემთხვევაში, გავლენის შემდგომი შემცირების ან სრულად აღმოფხვრის მიზნით, დაგეგმოს და გაატაროს დამატებითი კონტროლის ზომები.
- მუდმივად შეამციროს თავისი პროცესების უარყოფითი გავლენა ეკოლოგიაზე, რამდენადაც ეს შესაძლებელია ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით.
- იზრუნოს საზოგადოების თანამშრომლების ეკოლოგიურ გათვითცნობიერებულობაზე და წახალისოს ისინი, პასუხისმგებლობით მოეკიდონ გარემოს დაცვას თავიანთი სამუშაოს ფარგლებში; უზრუნველყოს პერსონალის სწავლება და ინფორმირებულობა მისი საქმიანობის ეკოლოგიაზე გავლენებთან დაკავშირებით.
- მუდმივად გააუმჯობესოს ეკოლოგიური ეფექტურობა და შეამციროს უარყოფითი გავლენები ეკოლოგიაზე ამ ეკოლოგიური პოლიტიკისა და მთლიანობაში, ეკოლოგიური მართვის სისტემის პერიოდული გადახედვის გზით, მიმდინარე და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობების ჭრილში.
- შეისყიდოს და გამოიყენოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, სადაც ეს შესაძლებელი და კომერციული თვალსაზრისით პრაქტიკულია.
- მოითხოვოს ეკოლოგიური ეფექტურობა თავისი მომწოდებლებისა და კონტრაქტორებისგან.
- იზრუნოს გარემოს დაბინძურების პრევენციაზე / შემცირებაზე და მასალებისა და რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე მთელი საზოგადოების მასშტაბით, მათ

შორის წყლის, ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, სხვადასხვა ნედლეულის და სხვა მასალების.

- შეამციროს ნარჩენები მასალების განმეორებითი გამოყენებისა და გადამუშავების გზით და გადამუშავებული, გადამუშავებადი ან განახლებული პროდუქტებისა და მასალების შესყიდვით, იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმისაწვდომია სხვადასხვა, ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით მისაღები ალტერნატივა.
- თავი აარიდოს სახიფათო ნივთიერებებისა და პროდუქტების არასაჭირო გამოყენებას, შეძლებისდაგვარად, ეძიოს ალტერნატიული ვარიანტები და გადადგას ყველა აუცილებელი და გონივრული ნაბიჯი ადამიანების ჯანმრთელობისა და ეკოლოგიის დასაცავად იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება ასეთი მასალების გამოყენება, შენახვა და უტილიზაცია.
- ყველა იმ შემთხვევისთვის, როდესაც არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნა ან მნიშვნელოვანი გავლენა ეკოლოგიაზე, შეიმუშაოს, დანერგოს და შეინარჩუნოს საგანგებო სიტუაციებზე და ნივთიერებების დაღვრაზე რეაგირების ადეკვატური პროგრამები.
- მოახდინოს გარემოს დაცვის მიმართ თავისი მიდგომის და ერთგულების კომუნიკაცია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის, კლიენტებისთვის, აქციონერებისთვის, მომწოდებლებისთვის და კონტრაქტორებისთვის, გარეშე საზოგადოებისთვის და ა.შ. და წახალისოს მათი მხარდაჭერა.

## 5. დასკვნა

როგორც ნათლად ჩანს მოცემული პოლიტიკიდან, საზოგადოება ფოკუსირებულია თავისი ეკოლოგიური ეფექტურობის მუდმივ განვითარებაზე ეკოლოგიური მართვის სისტემის დანერგვის, შენარჩუნებისა და გაუმჯობესების გზით იმისთვის, რომ მინიმუმამდე შეამციროს უარყოფითი გავლენა ეკოლოგიაზე, პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, დაბინძურების პრევენციის შესაბამისი პრაქტიკების საშუალებით, საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნების შესაბამისად, და იყოს მისაბაძი მაგალითი სხვებისთვის.